პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1975 ხუთშაბათი 13 ნოემბერი № 266 (16392) ფასი 2 კაპ. 1975

იმპერიის ზვრების ბარაქამ!

მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილეების მიმართვა საქართველოს ყველა მევენახისა და ყურძნის გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, ჩვენს რესპუბლიკაშიც ყველგან გაცხოველებით ემზადებიან სკკპ XXV ყრილობისათვის. ხალხის აზრი და სწრაფვა იქითკენ არის მიმართული, რომ ღირსეული საქმეებით აღინიშნონ პარტიისა და ხალხის ცხოვრების ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა, შეასრულონ ხუთწლედის დავალებანი, მიიღონ მეათე ხუთწლედის პირველ წელს სოფლის მეურნეობის კულტურების უხვი მოსავალი, გაზარდონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

რესპუბლიკის მშრომელებს აღაფრთოვანებს ღონისძიებები, რომლებსაც განუხრელად ახორციელებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისათვის. ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, მთელი გულით გვრძნობთ, თუ რა სასიკეთოდ იცვლება ყველაფერი, რა გეგმაზომიერად სწორდება ნაკლოვანებები ეკონომიკაში, მეურნეობის გაძღოლაში, როგორ უმჯობესდება რესპუბლიკის მორალური კლიმატი.

ბევრ შრომასა და მონდომებას ვახმართ ჩვენც, მევენახეები იმ საქმეს, რომ უხვი მოსავალი ნორმად იქცეს ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის.

სკკპ XXV ყრილობის წინ, მძიმე კლიმატურ პირობებში, არნახული გვალვის პირობებში ჩვენ მოვიწიეთ რეკორდული მოსავალი — მოვკრიფეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 407.830 ტონა ყურძენი. მაგრამ მიღწეულს არ უნდა დავჯერდეთ. კარგად გვახსოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ კრემლის ყრილობათა სასახლეში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო დარბაზობაზე ნათქვამი სიტყვები იმის შესახებ, რომ ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ გასაკეთებელი კიდევ მეტია. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ამ მითითებას შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობა მოჰყვა, რომელიც ნათლად ჩანს ყველა ჩვენს საქმეში, ხელს უწყობს სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ გაჩაღებას, მისი ფორმებისა და შინაარსის სრულყოფას.

საქართველოს მევენახეობას კარგი აწმყო და კიდევ უფრო უკეთესი მომავალი აქვს. „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულია ყურძნის წარმოების მკვეთრი გადიდება. სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტაზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის მაისის პლენუმმა. საქმე ის არის, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადაში გადავიყვანოთ მევენახეობა სამრეწველო, მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე და ამასთანავე გავაორკეცოთ პროდუქციის გამოშვება. ჩვენ, მევენახეები, შეგძლებთ ამ ამოცანის განხორციელებას? რა თქმა უნდა, შეგძლებთ! ამას ნათლად ადასტურებს ჩვენი წლევანდელი სასახელო წარმატებები, რომლებიც, როგორც აღინიშნა, მეტად არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში მოვიპოვეთ.

ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენ მაგრად უნდა ვიმუშაოთ, ყველას უნდა ვაჩვენოთ უანგარო შრომის მაგალითი, რათა წარმატებით შევასრულოთ სამუშაოთა დიდი პროგრამა.

უახლოეს წლებში ჩვენ 35-40 ათასი ჰექტარი ახალი ვენახები უნდა გავაშენოთ და მათი ფართობი საზოგადოებრივ მეურნეობებში 105 ათას ჰექტარამდე უნდა გავზარდოთ, რომელთაგან 80 ათასი სრულმოსავლიანი იქნება.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ვალდებული არიან ახალი ხუთწლედის დამდეგისთანავე უზრუნველყონ ზვრების დიდ მასივებზე გაშენება იმ ვარაუდით, რომ უკვე ხუთწლედის დამლევისთვის მიიღონ მოსავალი ამ მასივებზე. ამას საფუძველი ახლა ეყრება. წლეულს უნდა გავაშენოთ 8.200 ჰექტარი ვენახები. ვალდებულება დაძაბული, მაგრამ ჩვენ გვაქვს ყველა აუცილებელი პირობა, რათა მთლიანად და გადაჭარბებრძ, წარმატებით შევასრულოთ იგი. ბოლო წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები დასახეს სანერგე მეურნეობების ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანისათვის, ნერგების ელექტროსტრატიფიკაციული გამოყენებისათვის, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათს წარმოებას, გააუმჯობესებს ხარისხს. ჩვენი მიზანია, უახლოეს ორ წელიწადში არა თუ დავკმაყოფილოთ რესპუბლიკის მოთხოვნილება ვაზის მაღალხარისხოვან ნერგებზე, არამედ მომავალში გავიტანოთ კიდეც იგი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

ქართველმა მევენახეებმა ახლო მომავალში ყურძნის წარმოება 800.000 ტონამდე უნდა გაზარდონ, მაგრამ, დავიანგარიშეთ რა რეზერვები და შესაძლებლობანი, ეს ამოცანა მინიმალურად მივიჩნიეთ და ვიბრძოლებთ მისი მნიშვნელოვანი გადაჭარბებისათვის.

ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის უნდა გავითვალისწინოთ არსებული ნაკლოვანებები და გადაჭრით აღმოვფხვრათ ისინი. თვითეულმა მშრომელმა, თვითეულმა კოლექტივმა თავისი დიდმწარმოებლური შრომით ყოველი ღონე უნდა იხმაროს არსებული ნაკლოვანებების დაძლევისათვის.

საჭიროა მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ვენახების მოვლა, ავამაღლოთ აგროტექნიკური დონე, უახლოეს ორ-სამ წელიწადში აღმოვფხვრათ ვენახების სიმეჩხრე, ეფექტიანად გამოვიყენოთ სასუქები და სარწყავი წყალი, გაბედულად ვნერგოთ წარმოებისა და მართვის მოწინავე მეთოდები, ვიშრომოთ დევიზით „მეგიღოთ მეტი მაღალხარისხოვანი ყურძენი ნაკლები დანახარჯებით“. ასეთია ჩვენი საბრძოლო პროგრამა. იმისათვის, რომ მას წარმატებით შევასრულოთ ხორცი, საჭიროა წარმოების ყველა რგოლის — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ღვინის ქარხნების ზუსტი და გამართული მუშაობა.

ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გადამმუშავებელი მრეწველობის ტექნიკური ბაზის განვითარებას. გადამმუშავებელი მრეწველობის სიმძლავრე უკვე დღეს ვერარ აღის დამაკმაყოფილებელი, მაშასადამე, ჩვენ უნდა უზრუნველყოთ მისი სიმძლავრეების ზრდა ყურძნის წარმოების წინგაბმწრები ტემპით.

ბევრი დიდი და სასახელო საქმე მოგველის. წინ აქვს სკკპ XXV ყრილობა, რომელიც დასახავს ჩვენი ქვეყნის, მასთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი მძლავრი აღმავლობის ახალ ნათელ პერსპექტივებს. და ჩვენი პატრიოტული ვალია სახელოვანი შრომითი საჩუქრებით შევხვდეთ პარტიის XXV ყრილობას, ღირსეულად შევასრულოთ სამშობლოსათვის მიცემული სიტყვა.

მიმართვა მიღებულია მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ შეკრებაზე.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ტაჯიკეთის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ორმოცდაათი წლისთავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ახალგაზრდობის აღსაზრდელად გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის და შექმნის 50-ე წლისთავის გამო

ტაჯიკეთის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი დაჯილდოდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი 1975 წლის 12 ნოემბერი.

სკკპ XXV ყრილობის შესახებ

ხუთწლედის დამთავრებამდე დარჩა 48 დღე

შუქი მთაში

მესტიის რაიონი ჩაირთო ერთიან ენერგოსისტემაში

მესტია. ასრულდა რაიონის მშრომელთა დიდი ხნის ოცნება — ხაფანგიდნეოებგარად მესტიის რაიონი ჩაირთო საქართველოს ერთიან ენერგოსისტემაში.

სამუშაოები რიულ ბუნებრივ პირობებში შესასრულეს „კავკასელექტროელმშენის“ და „საქიდროენერგომშენის“ ტრესტების კოლექტივებმა, რომლებსაც დიდი დახმარება გაუწია შემკვეთმა — „ხაქმთავარენერგომ“.

მესტიის რაიონის საქართველოს ერთიან ენერგოსისტემაში ჩართვა პარტიისა და მთავრობის მიერ მთის რაიონის მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაზე მუდმივი ზრუნვის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია. მესტიის რაიონის მშრომელები პირობას დებენ თავდადებული შრომით უპასუხონ ამ დიდ ზრუნვას, — აცნობეს რედაქციას პარტიის მესტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ზ. სარალიძემ და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. უშხვანმა.

ვადაზე ადრე

თბილისი. ვადაზე ადრე, 15 ნოემბრისათვის გადაჭარბებით გაანაღდა ხუთწლიანი გეგმა და ნაკისრი ვალდებულებები თბილისის № 6 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივმა. 26048,1 ათასი მგზავრის ნაცვლად გადაყვანილია 261.800 ათასი მგზავრი, მიღებულია 8.175 ათასი მანეთი მოგება, გეგმა კი 8.171 ათასი მანეთი მოგებას თავალსაწიერებდა.

ახლა საწარმოს კოლექტივი დამკვრელურად შრომობს მეათე ხუთწლედის ანგარიშში. — ეს რედაქციას აცნობეს საწარმოს დირექტორმა ა. შარგალიტაძემ, პარტბიუროს მდივანმა ზ. გოგიჩაშვილმა და ადგილკომის თავმჯდომარემ ა. შიმშილაშვილმა.

გეგმაც, ვალდებულებაც

ქუთაისი. (საკ. კორ.). მინის ტარის ქარხნის კოლექტივი, სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას და კარგ წარმატებებსაც აღწევს. სოციალისტური შეჯიბრების სწორი ორგანიზაციით ქარხნის კოლექტივმა ხუთწლედის დავალება ჯერ კიდევ სექტემბრისათვის გაანაღდა, ხოლო წლეულს გეგმის გადამეტებით 200 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვების ნაკისრი ვალდებულება — ივლისისათვის.

კოლექტივი უკვე მეათე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს, მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმის გადამეტებით უკვე წარმოებულია ახალი ათასობით მანეთის პროდუქცია.

შიდასაჯარსნო შეჯიბრებაში პირველობას არ თმობენ და ყოველდღიურ საწარმოო ვალდებულებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ № 1 და № 2 სამანქანე-საღებავი, მუყაოს და ბროლის საამქროთა კოლექტივები, რომელთაგან ო. კვიკინაძე, ს. გეორგობიანი, ი. ვადაკორია და ნ. შათირიშვილი ხელმძღვანელობენ. შეჯიბრების ავანგარდში არიან კაზმის შემდგენნი კ. სადილიანი, მემანქანეები გ. დათიაშვილი, ა. ხვანიძე, ვ. კაპანაძე, ჯ. ჩიტორელიძე, ტ. ხანადირაძე, მეალმასე ი. ერაძე.

მომავლის ანგარიშში

ლენტეხი. სამი თვით ადრე გაანაღდეს ხუთწლიანი დავალება ლენტეხის რაიონის ხარეწველი საწარმოთა კოლექტივებმა, პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით, ხოლო რეალიზაციისა — 104 პროცენტით. შესრულებულია საოქტომბრო დღესასწაულის შესახვედრად ნაკისრი ვალდებულებანი.

— ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში თავი განსაკუთრებით გამოიჩინა ცანის სამთო-მეტალურგიულმა კომბინატმა, რომელმაც გეგმის გადაჭარბებით უკვე აწარმოვა 55 ათასი მანეთის პროდუქცია და მოახდინა 96 ათასი მანეთის ზეგეგმიანი ქიმიური პროდუქციის რეალიზაცია. დადგენენ რა სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების, აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, რაიონის სამრეწველო საწარმოებმა გადაწყვიტეს წლის ბოლომდე მეათე ხუთწლედის ანგარიშში გამოუშვან 200 ათასი მანეთის პროდუქცია და მოახდინონ 250 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

ეს რედაქციის ინფორმაციის ცალკერის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. კილაძემ.

მის აღმატებულებას დოქტორ აგოსტინიო ნეტოს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს

ლუანდა

ნუბა მიბოძეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად მოგილოცოთ ანგოლის დამოუკიდებლობის გამოცხადება და ყოველი სიკეთე ვუსურვო თქვენი ქვეყნის ხალხს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე.

თქვენი ქვეყნის ხალხის მიერ დამოუკიდებლობის მიღწევა, რაც მოპოვებულია ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის ხელმძღვანელობით, თვალსაჩინო პოლიტიკური გამარჯვებაა, რომელიც ადასტურებს, რომ აფრიკელი ხალხი წარმატებით იბრძვის აფრიკის კონტინენტზე კოლონიალიზმისა და რასიზმის უკანასკნელი კერების ლიკვიდაციისთვის.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, მუდმივ იყო მებრძოლი ანგოლელი ხალხის მხარეზე. ყოველმხრივ ეხმარებოდა და უჭერდა მხარს მის პატრიოტულ ძალებს. ანგოლისათვის ამ ისტორიულ დღეს საბჭოთა ხალხი მხურვალედ უსურვებს მის ხალხს წარმატებებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში თავისუფლების, ეროვნული ერთობისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პირობებში.

საბჭოთა კავშირი, რომელიც უცვლელად იდგა ყველა სახელმწიფოს თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკას, ავრთვეთ ხელმძღვანელობს ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპებით, აცხადებს, რომ ცნობს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის სუვერენულ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მზად არის დაამყაროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა და გაცვალოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი საელჩოთა დონეზე.

გამოვთქვამ იმედს, რომ საბჭოთა კავშირსა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკას შორის ფრენდლი განვითარდება მეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის სწავლიდღეოდ.

ნ. პოდგორნი.

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა

ლიბიის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ა. დორდას

11 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ლიბიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ა. დორდა, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა.

ა. დორდამ ა. ნ. კოსიგინს გადასცა ლიბიის არაბთა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შინაარსის ბეჭდური ინფორმაციები საბჭოთა ხელმძღვანელებისადმი და ლიბიის პრემიერ-მინისტრის ა. ა. ჯელუდის პირადი წერილი.

საუბრის დროს, რომელმაც ბევრი მხურვალედ უსურვებს მის ხალხს წარმატებებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში თავისუფლების, ეროვნული ერთობისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პირობებში.

საბჭოთა კავშირი, რომელიც უცვლელად იდგა ყველა სახელმწიფოს თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკას, ავრთვეთ ხელმძღვანელობს ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპებით, აცხადებს, რომ ცნობს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის სუვერენულ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მზად არის დაამყაროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა და გაცვალოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი საელჩოთა დონეზე.

გამოვთქვამ იმედს, რომ საბჭოთა კავშირსა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკას შორის ფრენდლი განვითარდება მეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის სწავლიდღეოდ.

ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოიწონა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დასამტკიცებლად წარუდგინა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდადასტურების ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში 1975 წლის 7 ოქტომბერს. (საკდესი).

ვ. შეელი მოსკოვში

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტი ვ. შეელი, მისი თანმხლები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწენი 12 ნოემბერს ეცნობოდნენ მოსკოვს.

საპატიო სტუმარი იყო ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო-სოციალისტური შრომის გმირი აკადემიკოსი ა. პ. ალექსანდროვი, სხვა მეცნიერები. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მის თანმხლებ პირებს ესაუბრნენ იმის შესახებ, თუ რა დიდი მასშტაბის კვლევითს სამუშაოებს ეწევიან საბჭოთა მეცნიერები ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში.

გერმანელმა სტუმრებმა დათვალიერეს ლაბორატორიები, მსოფლიოში უდიდესი თერმობირთვული დანადგარი „ტოკამაკი-10“, სხვა დანადგარები, რომლებზეც ეწყობა ექსპერიმენტები მაღალტემპერატურიანი პლაზმის მისაღებად და სამეცნიერო სამუშაოები თერმობირთვული სინთეზის დარგში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი იყო აკადემიკოს ი. ვ. კურჩატოვის მემორიალურ სახლ-მუზეუმში.

შემდეგ ვ. შეელმა დათვალიერა ლ. ნ. ტოლსტოის სახლ-მუზეუმი მოსკოვში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს ახლდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. გრუშეცკი, სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. მ. პეტროსიანაცი, სხვა ოფიციალური პირნი.

* * *

12 ნოემბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურმა პრეზიდენტმა ვალტერ შეელმა სადილი გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პატივსაცემად.

სადილზე კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხრივ იყვნენ საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი ჰ.-დ. გენშერი, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე ვ. შეელმა და ნ. ვ. პოდგორნიმ სიტყვები წარმოთქვეს. (საკდესი).

საუბარი ა. ა. გრომიკოსთან

12 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ლიბიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ა. ბუზეიდა დორდა, რომელიც მოსკოვში ამყოფა.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირ-ლიბიის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების საკითხებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემაზე. (საკდესი).

მეგობრულ ვითარებაში

12 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით დარბაზობა გაუმართეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საგარეო ვაჭრობის მუდმივი კომისიის 45-ე სხდომის მონაწილეებს.

დარბაზობამ გულთბილ, შეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(საინფორმაციო).

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების დელეგაციათა მეთაურები, რომლებიც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საგარეო ვაჭრობის მუდმივი კომისიის 45-ე სხდომაში მონაწილეობენ, 12 ნოემბერს მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ე. ა. შევარდნაძესთან შეხვედრას ესწრებოდნენ: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ნეიდენი, ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს საგარეოეკონომიკური ურთიერთდახმარების კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კალჩევი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ჰ. ზოლე, კუბის რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრს მოადგილე ხ. ამადო ბლანკო, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ე. ოჩირი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობისა და საზღვაო მეურნეობის მინისტრი ე. ოლშევსკი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური კოოპერირების მინისტრის მოადგილე ა. სტოიანი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. პატოლიჩევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეოეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ხ. სკაჩკოვი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ე. შტრბა, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის საკავშირო მდივნის პირველი მოადგილე დ. ბოიკოვსკი.

ე. ა. შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით გულთბილად და გულიდან მიესალმა დამსწრეთ. მან ხაზი გაუსვა იმ პრობლემების დიდ მნიშვნელობას, რომლებსაც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საგარეო ვაჭრობის მუდმივი კომისიის სხდომაზე იხილავენ, და აღნიშნა, რომ სოციალისტური ქვეყნების ორმა და სულ უფრო მტკიცე სამეურნეო ურთიერთობას, რომელიც ხალხის ძირეულ ინტერესებს შეესაბამება, განსაზღვრავს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ერთიანობა, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საერთო ამოცანები.

ე. ა. შევარდნაძემ დელეგაციათა მეთაურებს გააცნო საქართველოს წარსული და აწმყო, ამოცანები, რომლებსაც ახლა წყვეტს რესპუბლიკის ჰარტიული ორგანიზაცია, ილაპარაკა საქართველოს მშრომელთა შრომითს და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობაზე, რაც სკკპ XXV ყრილობისათვის მზადებამ გამოიწვია.

ე. ა. შევარდნაძე შეეხო საქართველოს სსრ წელილს საგარეო ვაჭრობის განვითარებაში და აღნიშნა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის განმტკიცებაში მიღწეული წარმატებანი განუყრელად უკავშირდება სოციალისტური ეკონომიკის აღმავლობასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური საგარეო პოლიტიკის თანამიმდევრულ განხორციელებაში მოპოვებულ მიღწევებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საგარეო ვაჭრობის მუდმივი კომისიის 45-ე სხდომა მიმდინარეობს თბილისში, და უსურვა მის მონაწილეებს მუშაობის წარმატებით დამთავრება.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საგარეო ვაჭრობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ, საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების დელეგაციების სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს იმის გამო, რომ შესანიშნავი პირობები შექმნეს თბილისში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სხდომის მუშაობისათვის, და ხაზი გაუსვა, რომ ჩვენი პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას ხალხთა ძმური ურთიერთდახმარებისა და ინტერნაციონალური ერთიანობის ბაზაზე ყველა სოციალისტურ ქვეყნებთან. ნ. ს. პატოლიჩევმა თქვა, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი პირობაა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული ურთიერთობა, რომელიც სულ უფრო მტკიცდება სოციალიზმის ქვეყნებთან.

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა მოიყვანა მკაფიო მაგალითები, რომლებიც ახასიათებენ მრავალფეროვანი საბჭოთა კავშირის წარმატებებს საგარეო ვაჭრობაში.

ზეხვედრას, რომელმაც ძმური, ამხანაგური ვითარებაში ჩაიარა, დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. დ. ჭავახიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ვ. შ. ხირაძე და ჭ. ი. პატიაშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი შ. დ. კიკნაძე, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ლ. ა. ზორინი.

მათთან ერთად იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობის, საგარეო და საფინანსო ორგანოების ვანყოფილების გამგე შ. ზ. ბერიანიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის ვანყოფილების გამგე ნ. ი. კოკვაძე, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ხ. ელიავულაშვილი. (საინფორმ.).

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲢᲐᲯᲘᲙᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲢᲐᲯᲘᲙᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ

**ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲘᲡ

ქართველ მევენახეთა სახელოვანი ჯროემითი გამარჯვება

მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება

სკკპ XXV ყრილობის წინ მოპოვებული სასახელო შრომითი გამარჯვების გამო გახარებულნი მივიდნენ მევენახენი და ღვინის მრეწველობის მუშაკები თავიანთ რესპუბლიკურ შეკრებაზე. უმაღლესი გვალვასთან სასტიკ ბრძოლაში ჩვენმა სახელოვანმა მევენახეებმა გამარჯვება მოიპოვეს — მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს საქართველოს მევენახეობის ისტორიაში რეკორდული მოსავალი — 407.830 ტონა ყურძენი.

მევენახეთა წარმატებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის ეს მთავარი დარგი ახლო წარსულში ქრონიკულად ვერ აცოცდებდა გეგმებს. თავდადებული შრომით, მონდომებით, მოსავლის ბედისათვის მოვალეობისა და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით, მიწათმოქმედების მაღალი კულტურით, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ფართოდ გაშლილი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობით, უზრუნველყოფილია ამა მარტო ღვინამდელი წარმატებები, არამედ მტკიცე საფუძველი ჩაეყოს-მომავალი წლების მოსავალს.

ჩვენს სოფელ ჯერ არ ახსოვს, რომ სოციალისტურ შეჯიბრებას ასეთი გაქანება მიეღოს, ასეთი ქმედითი და მებრძოლური ყოფილიყოს. ათასობით მევენახე დადგა შრომითს ვახტზე სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად, იკისრა გადიდებული ვალდებულებები და ღირსეულად შეასრულა კიდეც სიტყვა.

შეკრებაზე აღინიშნა, თუ რა წვლილი შეიტანეს გურჯაანის რაიონის მევენახეებმა რეკორდული მოსავლისათვის ბრძოლაში, და ეს სავსებით დასაბუთებულიც არის. მას შემდეგ, რაც 1971-1972 წლებში რაიონის ენანახები მეტისმეტად დაბალი ყინვებმა, ბევრი ეშვიობდა, რომ უახლოეს ხანში ვერ მოხერხდებოდა მათი აღდგენა. მაგრამ გურჯაანელებმა მარმანვე თქვეს თავიანთი კატური სიტყვა, წლეულს კი მათმა თავდადებულმა შრომამ ყოველგვარ მოლოდინს გადაკაბარა — მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 80 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ყურძენი, რესპუბლიკაში დამზადებული ყურძნის თითქმის მეხუთედი. ასეთი ჭეშმარიტად რეკორდული მოსავალი გურჯაანის რაიონში ოთასოდეს არ მოუწევიათ.

გურჯაანელთა პატრიოტულმა მოწოდებამ — ათ-თორმეტ დღეში დაემთავრებინათ რთველი, უდიდესი როლი შეასრულა საერთო წარმატებაში — სწორედ და უდანაკარგოდ მოსავლის აღებას დამთავრებაში.

მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ალვანეთ ხიღნაღის, ახმეტის, თელავის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, მარნეულის, ბოლნისის, გორის, მაიაკოვსკის, ენინის, ხობატაურისა და სხვა რაიონების მევენახეებმა.

შეკრებაზე აღინიშნა, რომ მევენახეებმა, რომლებმაც აღადგინეს ყინვით დაზიანებული ზვრები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საზოგადოებრივი მევენახეობის განვითარებას. თუ მერკვე ხუთწლედის მანძილზე მთელი ყურძნის დამზადებაში საზოგადოებრივი მეურნეობების ხვედრითი წონა 50-55 პროცენტს არ აღემატებოდა, ამ ბოლო წლებში ამ ციფრმა 65-70 პროცენტს მიაღწია. განსაკუთრებით გაიზარდა საზოგადოებრივი მევენახეობის ხვედრითი წონა ყურძნის დამზადებაში ქართლისა და კახეთის რაიონებში, სადაც ეს მაჩვენებელი 80-85 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს მევენახეობის ძირითადად მეღვინეობის მიმართულება აქვს. ჩვენში დამზადებული ყურძნის თითქმის 98 პროცენტი მაღალხარისხოვანი ღვინის წარმოებას ხმარდება. დარგის ბედი ბეჭრად არის დამოკიდებული ამაზე, თუ რამდენად შეესაბამება გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების დონე მევენახეობის განვითარების დონეს.

„სამტრესტის“ მეღვინეობის საწარმოებს არასოდეს არ უმუშავიათ ისე რიტმულად, შეწყობილად, როგორც წლეულს. წინა წლებში მეცივ მოსავლიანობასა და გეგმის შეუსრულებლობის პირობებშიც კი ღვინის ქარხნებში საათობით იდგნენ ყურძნით დატვირთული მანქანები. გაუთავებლად დაეობდნენ ყურძნის ხარისხიანობის განსაზღვრისას. მაშინ ყურძნის ჩაბარებელთა მოტყუებისა და წონაში გაკურების შემთხვევებიც ხშირი იყო. წლეულს ასეთი მახინჯი მოვლენები, ძირითადად, აღმოიფხვრა კვების-მრეწველობის სამინისტროს, „სამტრესტის“, სახალხო კონტროლის ორგანოების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, რაიონული და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაკთა ერთობლივი მეცადინეობით.

ყურძნის მიღებისა და გადამუშავების დროს კარგად „ეშრომეს მუკუზნის, წინანდლის, მაიაკოვსკის, ენანის საწარმოო გაერთიანებებს, გურჯაანის ღვინის ქარხნის კოლექტივებმა.

კარგად იმუშავეს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ყველა რგოლმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ავტოტრანსპორტის მუშაკებმა. მათ უზრუნველყვეს ენანებიდან ყურძნის უხვი მოსავლის დროული გაზიდვა და გადამამუშავებელ ქარხნებში მისი მიტანა.

ბევრი რამ გაკეთდა, კიდევ უფრო მეტი უნდა გაკეთდეს

მოხსენებიდან, შემოქმედებითი ბრძნის ადამიანები, რომლებიც შეეგებრების ავანგარდში ერთან, შრომობენ თვითეულ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის განვითარების კომპლექსურმა პროგრამამ, რომელიც

სკკპ XXIV ყრილობამ შეიმუშავა, წარმოების ინტენსიფიკაციამ ფართო შესაძლებლობა დასახა სოფლის მშრომელთა ოსტატობის ზრდისათვის „ინიციატივის მაქსიმალური გამოვლინებისათვის. ეს სავსებით ეხება გურჯაანის რაიონის სოფლების ჩუმლაყის, ველისციხის, ჯანდრისა და არაშენდის კოლმეურნეობების, გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა და გურჯაანის სანერგე მეურნეობის მშრომელებს. სწორედ ამ საფუძველზე ამ მეურნეობებში შეძლეს საშუალოდ ჰექტარზე 90-110 ცენტნერი ყურძენი მეიღოთ. 90-100 ცენტნერი ყურძენი ჰექტარზე მიიღეს სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანის კოლმეურნეობისა და ტიბაანის სანერგე მეურნეობაში, ახმეტის რაიონის ოყროს, მატნის, ახმეტისა და ზემოხოდაშნის საბჭოთა მეურნეობებში.

დასავლეთ საქართველოს პირობებში ყურძნის უხვი მოსავალი მოიწევს მაიაკოვსკის რაიონის დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობაში, საჩხერის რაიონის სოფელ საკანისა და სხვიტორის კოლმეურნეობებში, სადაც საშუალოდ ჰექტარზე მიღებული 70-75 ცენტნერი ყურძენი.

კიდევ უფრო უხვი მოსავალი მოიწევს მოწინავე ბრიგადებმა და ცალკეულმა მევენახეებმა. მაგალითად, სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის ი. ტედიშვილის ბრიგადამ 33 ჰექტარი ენანახიდან თვითეულზე 156 ცენტნერი ყურძენი მოიწია, სოფელ ჯანდრის კოლმეურნეობის ო. კახაბერის ბრიგადამ კი 40 ჰექტარი ენანახიდან საშუალოდ ჰექტარზე 147 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა. სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის კოლმეურნეობაში შ. ჭაბაშვილის ბრიგადამ 9 ჰექტარი ენანახიდან თვითეულზე 270 ცენტნერი მოსავალი მიიღო, ახმეტის რაიონის ოყროს საბჭოთა მეურნეობაში ნ. ნახუცრიშვილის ბრიგადამ 16 ჰექტარი ენანახიდან საშუალოდ თვითეულზე მოიწია 135 ცენტნერი ყურძენი, დიდია მოწინავე ბრიგადებისა და მევენახეების რიცხვი.

ამასთანავე შეკრების მონაწილეებმა განსაკუთრებული უურადღება დაუთმეს ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის მევენახეობის განვითარებაში.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე ქართველმა მევენახეებმა სახელმწიფოს დააკლეს 577 ათასი ტონა ყურძენი. ამის შედეგად კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ასმილიონზედან მანეთის შემოსავალი დაკარგეს, ხოლო გადამამუშავებელმა მრეწველობამ სახალხო მეურნეობას 600 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლო.

კოლმეურნეობების, სახელმწიფო მეურნეობების, რაიონების ხელმძღვანელი, სპეციალისტები და მეცნიერი რესპუბლიკის მევენახეობის სერიოზულ ჩამორჩენას 1971-72 წლების ყინვებითა და მომდევნო წლების არახელსაყრელი კლიმატური პირობებით ხსნის. ეს სწორი და ძირითადად ობიექტური შეფასებაა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ხომ არ შეეჩვიოს ძმას, რომ ყველაფერი ბუნების სტიქიურ მოვლენებს გადაბრალოს? მართალია, საქართველოსათვის დამახასიათებელია ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება, მაგრამ, — ითქვა შეკრებაზე, — განა ისეთი დიდი განსხვავებაა მაიაკოვსკისა და ზესტაფონის, სამტრედიისა და წყალტუბოს, ვანისა და თერჯოლის, ცაგერისა და ამბროლაურის, გორისა და კასპის რაიონებს შორის, რომ პირველებმა მნიშვნელოვანი გადაკარბებით შეასრულეს ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმები, მეორენი კი ბეგრად ჩამორჩნენ?!

ერთი რამ უდავოა: ცუდი მუშაობის არახელსაყრელი ბუნებრივი პირობებით გამართლებას ის მოჰყვება, რომ „დასავლეთ საქართველოს რაიონებმა წლეულს ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმის 14 ათას ტონაზე მეტი დაკელეს, ხოლო ქართლის რაიონებმა — 5 ათასი ტონა. საქმე კი ის არის, რომ ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში სოზოგადოებრივი მევენახეობის განვითარებას არ ექცევა ისეთი უურადღება, როგორიც კახეთის რაიონებში.

ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში დაბალია მევენახეობის კულტურის დონე, ჯერჯერობით არ ზრუნავენ ენანახების მეჩხერიანობის ლიკვიდაციისათვის, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მთლიანად მოსავლისა და პროდუქციის თვითღირებულებაზე.

ცნობილია პირადი დამხმარე მეურნეობის როლი ყურძნის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში. სოფლის მშრომელები პასუხისმგებლობის სრული შეგნებით ეკიდებიან ამ საქმეს, სახელმწიფოს დიდძალ ყურძენს აბარებენ. მაგრამ უნდა გაღიარო, რომ სანამ ისეთ გეთაურებს არ შეგექმნით, როცა ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულებაში ძირითად და გადამწყვეტ როლს საზოგადოებრივი მეურნეობები შეასრულებს, მუდამ გვექნება სიძნელეები გეგმების შესრულებაში. განა შეიძლება წარმატების თქმელი გვქონდეს, როცა დასავლეთ საქართველოში დამზადებული ყურძნის საერთო რაოდენობიდან მოსახლეობის წილად 70-72 პროცენტი მოდის, ხოლო ყურძნის წარმოებაში 60 პროცენტი? უნდა მივაღწიოთ, აღინიშნა შეკრებაზე, რომ ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში, სადაც მევენახეობის განვითარების ხელსაყრელი პირობებია, სოზოგადოებრივმა მევენახეობამ მეათე ხუთწლედში მთელი ძალა ადგილი დაიკავოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკაში, გადამწყვეტ როლს ასრულებდეს ნედლეულის დამზადებაში.

კვების მრეწველობის სამინისტრომ და „სამტრესტმა“ უზრუნველყვეს ყურძნის შეუფერებელი გადამუშავება, მაგრამ მათს მუშაობაშიც იყო გარკვეული სიძნელეები.

ყურძნის პირველადი გადამუშავებინ ბევრ ქარხანაში სანწორების მეურნეობის გამტარუნარიანობა არ შეეესაბამება საწარმოთა საერთო სიმძლავრეს, რის შედეგადაც იყო ავტოტრანსპორტისა და ღვინის ქარხნების მოცდენის შემთხვევები. ზოგიერთი მათგანში ჯერ კიდევ იყენებენ მორალურად მძიმეკლებულ, დაბალმწარმოებელურ დანადგარებს.

ვაზი ქართველი ხალხის სიამაყეა

შეკრებაზე კმაყოფილებით აღინიშნა, რომ მევენახეობაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისა და სიძნელეთა დაძლევის მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე მთელი რიგი დადგენილებანი ღონისძიებები განახორციელეს, რომლებიც მიზნად ისახავს ამ დარგის მკვეთრ აღმავლობას, კერძოდ, ყინვებისაგან დაზიანებული ენანების აღდგენას, ფართობების შემდგომ გადიდებას, სანერგე მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას. ამ დადგენილებათა შესრულება საქართველოს შესაძლებლობას მისცემს ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკა გახდეს მაღალხარისხოვანი ყურძნისა და ღვინოების წარმოების დარგში.

ქართველი ხალხის შემოქმედებითი ბუნება მკაფიოდ გამოვლინდა ვახისიდმი მის უსაზღვრო სიყვარულში. თავისი დაუცხრომელი, აღმშენებლობითი შრომით ქართველმა ხალხმა უძველესი დროიდან ყურძნის 500-ზე მეტი კულტურული ჯიშის ვაზი შექმნა, რითაც ღირსეული წვლილი შეიტანა მსოფლიო მევენახეობისა და მგლვინეობის საგანძურში. დღეს ქართული მევენახეობა ამაყობს უნიკალური ვაზის ჯიშებით — „რქაწითელით“ და „საფერავით“, რომლებიც დიდად პოპულარულია. ისინი შეტანილია მოკავშირე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სტანდარტულ სორტამენტში. ქართველმა ხალხმა შექმნა ავრეთვე მევენახეობის ორიგინალური, სრულყოფილი ტექნოლოგია, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად მევენახეობისა და მებაღეობასთან ერთად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ინერგებოდა და ვითარდებოდა ახალი დარგები და კულტურები. ჩვენში ფართოდ გავრცელდა მეჩაიეობა და მეციტრუსეობა. სწორედ ეს დარგები, მევენახეობასთან ერთად, ახლა განსაზღვრავს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის როლს სახალხო მეურნეობასა და შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში.

მევენახეობაზე მოდის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების 15 პროცენტი, ანუ მემცენარეობის პროდუქციის ღირებულების 22 პროცენტი. ბევრი რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მევენახეობის 40-60 პროცენტი უჭირავს, ხოლო 220-ზე მეტი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მთლიან შემოსავალში 50-80 პროცენტს აღწევს.

საზოგადოებრივი მევენახეობის განვითარებაში კიდევ უფრო ფართო პერსპექტივები ისახება მეათე და მომდევნო ხუთწლედებში.

ქართველმა მევენახეებმა ბევრ წლისათვის ფურძნის წარმოება უნდა გაზარდონ 800 ათას ტონამდე. მაგრამ, აწონდაწონეს რა რეზერვები და შეხსალებლობანი, ეს ამოცანა მინიმალურად დაიხინეს და მტკიცედ გადაწყვიტეს იბრძოლონ ამ მაჩვენებლის მნიშვნელოვანი გადაჭარბებისათვის.

ამისათვის საჭიროა მეათე ხუთწლედში სულ ცოტა 35-40 ათასი ჰექტარი ენანი გაგაშენოთ.

წლეულისდენი წლის უმნიშვნელობის პირობებშიც კი ისეთი საშუალო ჰექტარობრივი მაჩვენებლები უყვე მოიპოვეს არა მარტო ცალკეულმა მოწინავე მევენახეებმა, არამედ მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმაც. ეს საშუალებას გვაძლევს თვალსაზრისდენ, რომ დასახული ამოცანა რეალური.

წლეულს სპეციალურმა კომისიებმა სპეციალისტთა და მეცნიერთა მონაწილეობით შეისწავლეს მევენახეობისათვის ვარგისი ფართობები. წინასწარი მონაცემებით, რესპუბლიკას საკმარისი მიწის ფართობები აქვს, რომლებიც გამოდგება ვაზის ჩასაყრელად.

ამ მხრივ მისასალმებელია კახეთის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო სამეურნეო ორგანოების ინიციატივა, რომლებმაც დაარიგეს გასული წლების ცუდი ტაბლიცია, როცა ენანების გამენების გეგმის ძირითადად ხუთწლედის დამლევისათვის გადადებდნენ ხოლმე, და გადაწყვიტეს ენანების ძირითადი ფართობები ხუთწლედის პირველ წლებში გაეშენონ, რაზე მომდევნო წლებში უკვე მიიღონ მოსავალი ამ ფართობებზე.

აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები

მევენახეობაში ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, აღინიშნა შეკრებაზე, ის იყო, რომ სრულიად ჩაშალა სანერგე მეურნეობების მუშაობა, სოფლის მეურნეობის წინანდელმა ხელმძღვანელებმა, რომლებიც განუწყვეტლივ ტრაბახობდნენ საქართველოს კლასიკური მევენახეობით, საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ სანერგე მეურნეობებში ფფქტიურად უკვე აღარ ხდებოდა დამყნობა და რესპუბლიკა „ძალებული იყო ო�ხოეთიდან შემოეტანა ნერგები. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საქართველოდან გაჰქონდათ საუკეთესო ჯიშის ვაზის კალამი, ნაპყენს კი ვალუტაზე ყიდულობდნენ.

შეკრებაზე კმაყოფილება გამოითქვა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ უშუალოდ მოჰკიდეს ხელი საზოგადოებრივი მევენახეობის განვითარებას, სანერგე მეურნეობების აღდგენის საკითხებს, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ამ მიმართულებით ნაყოფიერი მუშაობა განხორციელდა. ნერგების გამოყვანის პროგრესულმა ელექტროსტატფიკაციულმა მეთოდმა შესაძლებელი გახადა წლეულს გეგმით გათვალისწინებული 67 მილიონი ძირის ნაცვლად 83,3 მილიონი ძირი დამეყნათ. ახლა საფუძველი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ სანერგე მეურნეობათა მუშაკები მკვეთრად გაზრდიან ნერგების გამოსაღლიანობას, რათა უახლოეს ორ წელიწადში მარტო მათზე რესპუბლიკის მოთხოვნილება კი არ დაკმაყოფილონ, არამედ მომავალში ნერგები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც გაიტანონ.

საზოგადოებრივი მევენახეობის ჩამორჩენის შემდეგ ძირითად მიზეზად კვლავ რჩება ზვრების დიდი მეჩხერიანობა. მეჩხერიანობის ლიკვიდაციის გზები და მეთოდები კარგად იციან სპეციალისტებმაც და რიგითმა მევენახეებმაც. საქმე ის არის, რომ ბევრი, ვისზეც დამოკიდებული იყო მეჩხერიანობის ლიკვიდაცია, უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა საქმეს, მარტო ლაპარაკს სჯერდებოდა. ახლა ენანების დიდი მეჩხერიანობის მიზეზებს ზოგან ნერგების ნაკლებობით ამართლებენ. ალბათ გაისიდან უკვე იმდენი ნერგი გვექნება, რომ ეს მიზეზიც მოისპობა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, აღინიშნა შეკრებაზე, ენანების მეჩხერიანობა მინიმუმამდე — 2-4 პროცენტამდე უნდა შეამცირონ.

შეკრებაზე აღინიშნა, რომ მევენახეობას დიდ ზიანს აყენებს ყინვა და სეტყვა. სეტყვისაგან ენანების დაცვის საშუალებები პირველად საქართველოში შეიქმნა და საკმაოდ ფართოდ გავრცელდა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. სეტყვის საწინააღმდეგო სამსახური, რასთვისაც ყოველწლიურად 5-7 მილიონი მანეთი იხარჯება, უთუოდ დიდ სამუშაოს ასრულებს. მაგრამ, როგორც უკანასკნელი წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ სამსახურს არ შეუძლია მთლიანად დაიცვას ენანები სეტყვისაგან.

ჩვენში და საზღვარგარეთ სეტყვისაგან დაცვის სხვადასხვა საშუალებებია ცნობილი. ქართველმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ერთ-ერთი მათგანი — ენანების კაპრონის ბადეთ გადაფარვის მეთოდი. გადაწყდა მომავალი წლიდან დაიწყოს მისი საწარმოო გამოცდა. იტორრები გვბარდებიან, რომ ეს მეთოდი მთლიანად დაიცავს ენანებს სეტყვისაგან.

ეფორო რთული პრობლემაა ენანების დაცვა ყინვებისაგან, რამაც 1971-1972 წლებში დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს მევენახეობას. მაგრამ ალბათ ეს პრობლემაც გადაიჭრება. ახლახან ქართველი სპეციალისტები მევენახეობა მუშაკები მკვეთრად გაზრდიან ნერგების გამოსაღლიანობას, რათა უახლოეს ორ წელიწადში მარტო მათზე რესპუბლიკის მოთხოვნილება კი არ დაკმაყოფილონ, არამედ მომავალში ნერგები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც გაიტანონ.

საზოგადოებრივი მევენახეობის ჩამორჩენის შემდეგ ძირითად მიზეზად კვლავ რჩება ზვრების დიდი მეჩხერიანობა. მეჩხერიანობის ლიკვიდაციის გზები და მეთოდები კარგად იციან სპეციალისტებმაც და რიგითმა მევენახეებმაც. საქმე ის არის, რომ ბევრი, ვისზეც დამოკიდებული იყო მეჩხერიანობის ლიკვიდაცია, უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა საქმეს, მარტო ლაპარაკს სჯერდებოდა. ახლა ენანების დიდი მეჩხერიანობის მიზეზებს ზოგან ნერგების ნაკლებობით ამართლებენ. ალბათ გაისიდან უკვე იმდენი ნერგი გვექნება, რომ ეს მიზეზიც მოისპობა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, აღინიშნა შეკრებაზე, ენანების მეჩხერიანობა მინიმუმამდე — 2-4 პროცენტამდე უნდა შეამცირონ.

შეკრებაზე აღინიშნა, რომ მევენახეობას დიდ ზიანს აყენებს ყინვა და სეტყვა. სეტყვისაგან ენანების დაცვის საშუალებები პირველად საქართველოში შეიქმნა და საკმაოდ ფართოდ გავრცელდა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. სეტყვის საწინააღმდეგო სამსახური, რასთვისაც ყოველწლიურად 5-7 მილიონი მანეთი იხარჯება, უთუოდ დიდ სამუშაოს ასრულებს. მაგრამ, როგორც უკანასკნელი წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ სამსახურს არ შეუძლია მთლიანად დაიცვას ენანები სეტყვისაგან.

ჩვენში და საზღვარგარეთ სეტყვისაგან დაცვის სხვადასხვა საშუალებებია ცნობილი. ქართველმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ერთ-ერთი მათგანი — ენანების კაპრონის ბადეთ გადაფარვის მეთოდი. გადაწყდა მომავალი წლიდან დაიწყოს მისი საწარმოო გამოცდა. იტორრები გვბარდებიან, რომ ეს მეთოდი მთლიანად დაიცავს ენანებს სეტყვისაგან.

ეფორო რთული პრობლემაა ენანების დაცვა ყინვებისაგან, რამაც 1971-1972 წლებში დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს მევენახეობას. მაგრამ ალბათ ეს პრობლემაც გადაიჭრება. ახლახან ქართველი სპეციალისტები მევენახეობა მუშაკები მკვეთრად გაზრდიან ნერგების გამოსაღლიანობას, რათა უახლოეს ორ წელიწადში მარტო მათზე რესპუბლიკის მოთხოვნილება კი არ დაკმაყოფილონ, არამედ მომავალში ნერგები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც გაიტანონ.

შეკრებაზე ამოსულებმა ალაბარაკეს ამ დიდ ამოცანებზე, რომლებიც მეათე ხუთწლედშია დასახული ღვინის მრეწველობის მუშაკთა წინაშე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდას წინ უნდა უძღოდეს გადამამუშავებელი საწარმოების სამძლავრეთა ზრდა. სამწუხაროდ, ჩვენში ხშირად პირიქით ხდება — სამრეწველო საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ მიღებული პროდუქციის შეუფერებელ გადამამუშავებას. შეკრების მონაწილეებმა კვების მრეწველობის სამინისტროსა და „სამტრესტის“ გაერთიანების მუშაკებს მოუწოდეს გითვალისწინონ ეს მდგომარეობა, რათა შემდგომში აღმოფხვრან სიძნელე ყურძნის მიღებასა და გადამამუშავებაში.

დიდი შეშფოთებით ითქვა, რომ მეტ წილ რაიონებში ცუდად მუშაობენ ენანების შემდგომი გაფართოებისათვის.

სადაც ბრის დაზამთრდება, ენანებს გაშენება კი მთელ რიგ რაიონებში ფაქტიურად არ დაწყებულა, თუმცა ნიადაგის მომზადება, რამდენიმე რაიონის გარდა დამთავრებულია. შეკრებამ მოითხოვა უახლოეს დღეებშივე დაიწყოს ენანების მასობრივი გაშენება. ეს საქმე თავის დროზე და მაღალხარისხოვნად უნდა გაკეთდეს. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს ენანებში შემოდგომა-ზამთრის სამუშაოთა დროულ და მაღალხარისხოვან შესრულებას. მათი წარმატებით განხორციელება იმის საწინდარი იქნება, რომ ქართველი მევენახენი მეათე ხუთწლედის პირველ წელსვე ოტყვიან თავიანთ გადაწყვეტ სიტყვას.

შეკრების მონაწილეებმა დიდი კმაყოფილებითა და მადლობით აღინიშნეს ის ფასდაუდებელი წვლილი, რომელიც შეიტანეს სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტის კოლექტივებმა, ყველა მშრომელმა ყურძნის რეკორდული მოსავლის მიღებაში.

* * *

შეკრებამ მიიღო მიმართვა ყველა მევენახისა და ღვინის მრეწველობის მუშაკისადმი, რომელშიც მოუწოდებს ღირსეული საქმეებით აღნიშნონ სკკპ XXV ყრილობა.

(საქინფორმი).

სურათზე: გურჯაანის რაიონის სოფელ ზუმლაყის კოლმეურნეობის კულტურის სახლი, სადაც გაიმართა მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება.

ხ. ჰილაძის ფოტო.



მოვაწყოთ შრომის დიდების მუზეუმები

წერილი რედაქციას

□

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ტრადიციის დამკვიდრებისა და შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა ახალგაზრდა მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები საფუძვლიანად იცნობდნენ მშობლიური საწარმოს ი ბორიის, მისი მოწინავე ადამიანების გმირულ ცხოვრებას.

ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში მაქსიმ გორკის წინადადებამ ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის დაწერისა და ეამოქმედყნების შესახებ მთელ ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის 10 ოქტომბერს დაადგინა შესდგომოდნენ კრებულთა სერიის „ქარხნების ისტორიის“ გამოცემას, მას შემდეგ მრავალი ქარხნის ისტორია დაიწერა და გამოიცა...

იმ დროს „ქარხნების ისტორიის“ გამოცემით უნდა დაკმაყოფილებულიყავთ, დღეს კი შესაძლებელია ამასთან ერთად ყოველ მოწინავე ქარხანასა და ფაბრიკას ჰქონდეს შრომის დიდების მუზეუმი, რომლის ფონდებში დაცული და საგამოფენო დარბაზებში ექსპონირებული ნივთების და დოკუმენტების მეცნიერული შესწავლა საწარმოს ისტორიის ღირსეულად დაწერასაც გააადვილებს.

ასეთი მუზეუმების შესაქმნელად მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხანასა და ამ ქალაქის ზოგიერთ საწარმოში, ხოლო რესპუბლიკის სხვა ფაბრიკა-ქარხნებში მუზეუმების მოწყობის ნაცვლად საწარმოს დღეგანდელი წარმატებების ამსახველი დიაგრამების და მოწინავე მუშების ფოტოსურათების გამოფენით კმაყოფილდებიან. ცხადია, ასეთი გამოფენა შემეცნებითი მნიშვნელობით და ადგური. გავლენის ძალით ვერ შეედრება ნივთიერი ექსპონატებით და დოკუმენტებით მდიდარ შრომის დიდების მუზეუმებს.

რესპუბლიკის არქივებში, ბიბლიოთეკებსა და ქარხანა-ფაბრიკებშიც ბევრი საინტერესო დოკუმენტი და ნივთიერი ექსპონატია დაცული საწარმოების ისტორიის და, კერძოდ, სტაბანოვური მოძრაობის წამოწყებათა შესახებ, რაც მუშათა კლასის ახალთაობებს კომუნისტურად აღზრდისათვის ფასდაუდებელ მნიშვნელობას ინარჩუნებს. ყოველივე ეს კი შრომის დიდების მუზეუმების მოუწყობლობის გამო გამოუყენებელია.

აი ერთი მაგალითი: 1935 წლის საწარმოო გეგმების დიდი წარმატებით შესრულებისათვის და წარმოებაში სტახანოვური მეთოდების დანერგვისათვის საქართველოს სახელოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გორკის ქარხნის მიერ გამოშვებული მუხუტი ავტომობილებით დაჯილდოვა ობილისის საწარმოთა შრომის ათი ნოვატორი, საუკეთესო სტახანოველი: ჯიბინაძე (ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალმემკეთებელი ქარხანა), აკოფოვი (26 კომისრის სახელობის ქარხანა), მდინარაძე (ავტოსარემონტო ქარხანა), ხუციშვილი (მაუხის ფაბრიკა), მელიავი (ტრამვაი), იარალოვი (აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა), ბარსეგოვი (აეროჯის ფაბრიკა), ჯანიაშვილი (ფეხსაცმლის ფაბრიკა), ტერ-ოგანეზოვი (ტყავის № 1 ქარხანა), ქვეელიაშვილი (ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა).

ხსენებულ საწარმოთა ახალგაზრდა მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა თითქმის არაფერი იციან ამ ადამიანთა შესახებ, რომლებმაც სტახანოვური მოძრაობის გარიჟრაჟზე ნოვატორული შრომით ასახელეს თავიანთი საწარმო, ქალაქი და რესპუბლიკა.

სახელოვან წინაპართა ღირსეულად გახსენება კიდევ უფრო მიმზიდველს და სახალისოს გახდის თავდადებულ შრომას...

ბ. ებრალიძე,
საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

პარტიული ორგანიზაცია ბიბლიოთეკებს

ეხმარება

ბიბლიოთეკარები მდივნებისათვის

ხიდნალი. პარტიის რაიკომმა, რაიონის პირველმა პარტორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების დამთავრებისთანავე, ორდღიანი სემინარი მოაწყო. მას ეესწრებოდნენ პირველადი პარტორგანიზაციის მდივნები და მათი მოადგილეები.

საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანმა ვ. ქარუმიძემ სემინარის მონაწილეთათვის წაიკითხა მოხსენება თემაზე: „პარტიელ მუშაობაში მეცნიერული საფუძვლების დანერგვის ლენინური პრინციპები“. პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ცალკეულ საკითხ

ᲓᲦᲔᲡ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

იმის გამო, რომ 2 დეკემბერს მოწვეულია სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგანგამგო-საბიუჯეტო კომისიებს, დარგობრივი კომისიებსა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიებს წინასწარ განიხილონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის სახელმწიფო გეგმა, სსრ კავშირის 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და მოამზადონ თაობაზე დასკვნები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატებისათვის.

11 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის მომავალი განხილვის გამო დამუტატები, პალატების მუდმივი კომისიების წევრები, ეუდნენ ამ საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და დოკუმენტების წინასწარ განხილვას.

11 ნოემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგანგამო-საბიუჯეტო კომისიების, დარგობრივი კომისიებისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიების წევრთა კომისიებს წინასწარ განიხილონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის სახელმწიფო გეგმა, სსრ კავშირის 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

11 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა მოაწყო ა. ხ. გრუშეცკის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დელეგაციის მ. პ. გიორგაძეს მოაწყეს

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის მომავალი განხილვის გამო დამუტატები, პალატების მუდმივი კომისიების წევრები, ეუდნენ ამ საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და დოკუმენტების წინასწარ განხილვას.

11 ნოემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგანგამო-საბიუჯეტო კომისიების, დარგობრივი კომისიებისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიების წევრთა კომისიებს წინასწარ განიხილონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის სახელმწიფო გეგმა, სსრ კავშირის 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

მუდმივი კომისიების ხელმძღვანელთა დავალებით კავშირის საბჭოს საგანგამო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გ. ი. ვაშჩენკომ გააკეთა ინფორმაცია სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წინასწარი განხილვისათვის საგანგამო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების მუშაობის წესის შესახებ.

1976 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების შესაბამისი თავების განსახილველად შექმნილია თხუთმეტი გაერთიანებული მოსამზადებელი კომისია. სსდომაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. მიტიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. მ. გიორგაძე, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების თავმჯდომარეები და ფინანსთა მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სხვა ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში

1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მუდმივი კომისიების ხელმძღვანელთა დავალებით კავშირის საბჭოს საგანგამო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გ. ი. ვაშჩენკომ გააკეთა ინფორმაცია სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წინასწარი განხილვისათვის საგანგამო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების მუშაობის წესის შესახებ.

1976 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების შესაბამისი თავების განსახილველად შექმნილია თხუთმეტი გაერთიანებული მოსამზადებელი კომისია. სსდომაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. მიტიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. მ. გიორგაძე, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების თავმჯდომარეები და ფინანსთა მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სხვა ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის მომავალი განხილვის გამო დამუტატები, პალატების მუდმივი კომისიების წევრები ეუდნენ ამ საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და დოკუმენტების წინასწარ განხილვას.

11 ნოემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგანგამო-საბიუჯეტო კომისიების, დარგობრივი კომისიებისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიების წევრთა კომისიებს წინასწარ განიხილონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის სახელმწიფო გეგმა, სსრ კავშირის 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

საბჭოთა მეცნიერის ალმოჩენა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიური ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლის ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ნ. ა. გუსაკის აღმოჩენამ, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა დიპლომი გასცა, ნაწილობრივ ან სრულად ერთვნდა ნელი ენერგიის ქიმიურ ელემენტებში ელექტრული ენერგიის ეფექტიანი ფლეთის ამოცანის გადაჭრის ეტაპზე. ეს ელემენტები ეფუძნებიან ელექტროქიმიურ ენერგიის ეფექტიანი ფლეთის ამოცან

საქართველოს
რაიონებში

ყვარელი

ბეჭდავს ჩვენი
საკუთარი კორესპონდენტი

სკოლის ახალი შენობა

სოფელ საბუეში ყურადღებას იპყრობს თეთრად მოქთქთალი, ოთხსართულიანი ლამაზად ნაგები ახალი სასკოლო შენობა. მისი შენებლობა ვადაზე ადრე დამთავრდა და წლეულს სექტემბრის ბარი უკვე ამ შენობაში აწკრიალდა.

ახალ სკოლაში 620 მოსწავლე წწავლობს.

ღვინის საწარმოებს შეემატა

სოფელ ენისელში დამთავრდა და მწყობრში ჩადგა ღვინის ახალი ქარხანა. ახალი საწარმოს სამშენებლო გათვალისწინებულია 10 ათასი ტონა ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის.

ქარხანა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით.

გმირთა ნაკვალევზე

დიდ სამამულო ომში რაიონიდან წასულმა მრავალმა ვაჟკაცმა ისახელა თავი. ბევრი მათგანი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. ქინძმარაულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა ამ დღეებში ექსკურსია მოაწყეს გმირთა ნაკვალევზე. მათ მოინახულეს გმირი ქალაქები — ქერჩი, სევასტოპოლი, ნოვოროსიისკი და საქართველოდან წაყვანული ყვავილების თაიგულებით შეამკეს ძმათა სასაფლაოები.

ექსკურსანტებმა დაათვალიერეს აგრეთვე ანაპა, სიმფეროპოლი, ფეოდოსია, კრასნოდარი, არმავირი, პიატიგორსკი, ნალჩიკი და სხვა ნაომარი ქალაქები.

დეპუტატის დღე

ზესტაფონის სასოფლო საბჭოში გაიმართა „დეპუტატის დღე“, შეკრებილთა წინაშე მოხსენებებით გამოვიდნენ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. შარია, თავმჯდომარის მოადგილე თ. ვენჯელაშვილი და აღმასკომის მდივანი ნ. თამაზაშვილი.

ა. თვალიაშვილი.



სურათზე: ილია ჭავჭავაძის ძეგლი ქ. ყვარელში.
ვ. ნერსესაშვილის ფოტო

ვაჭკაცობა, კეთილშობილება

გუშაგის საზრიანობა

ამას წინათ № ქვეგანაყოფში გაიმართა თემატური საღამო „გუშაგის სასახლური საბრძოლო ამოცანის შესრულებაა“. საღამოზე გამოვიდა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებული რიგითი ჯარისკაცი ი. ლეფარიძე. მან ილაპარაკა, თუ როგორ ემზადება გუშაგის სამსახურისათვის, რა ეხმარება მას გუშაგის მოვალეობის სანიმუშო შესრულებაში.

საამბობი კი მეომარს ბევრი ჰქონდა.

... ცა ლეკა ღრუბლებს დაეფარა, ღამით წვიმა წამოვიდა. ძლიერი ქარი ამოვარდა.

გუშაგმა ლეფარიძემ ლაბადა მოიხსნა და საგუშაგოს მისადგომებს ათვალიერებდა. ერთბაშად საწყობის სახურავიდან ტკაცუნი მოისმა და ცისფერი ნაპერწკლები გადმოცვივდა.

„მოკლე ჩართვა“ — გაუელვა აზრმა. მეომარი მტკიცედ და ზუსტად მოქმედებდა. მომხდარი ამბავი მეთაურს მოახსენა, თვითონ ჩამრაზათან მიირბინა, ძალით მოსწია თავისკენ, შემდეგ კი ალის ჩაქრობას შეუდგა. ცეცხლის ჩაქრობა უკვე არცთუ ისე ადვილი იყო. მაგრამ დაეხმარნენ ყარაულები, რომლებიც უფროსთან ერთად სწრაფად მოვიდნენ შემთხვევის ადგილას. ცეცხლის კერა სწრაფად ჩააქრეს. (საკინფორმი).

„ბოროდინო“

ქართველი მხატვრები მოქაისკში

ძველ რუსულ ქალაქ მოჟაისკში, რომელიც მოსკოვიდან 100 კილომეტრ მანძილზეა, არის ბორეცვიანი მოედანი, საიდანაც შშვენივრად მოჩანს ცნობილი ბოროდინოს ველი.

მოჟაისკის ცენტრალურ მაგისტრალზე გაიხსნა სამსართულიანი რესტორანი „ბოროდინო“. რესტორნის პირველ სართულზე მოთავსებულია ვრცელი საჭორწინო დარბაზი, გაფორმებული რუსული ეროვნული სტილით. კედლებზე გამოსახულია ბოროდინოს ბრძოლის ფრაგმენტები ხუთი შედური პორტრეტით. ამ ისინი — ბოროდინოს გმირები: კუტუზოვი, ბაგრატიონი, ბარკლაი დე ტოლი, რაევსკი და დენის დავიდოვი. პორტრეტები რთული ტექნიკით არის შესრულებული.

დარბაზის მეორე მხარეს მოთავსებული ფერწერა შესრულებულია ტემპერით. ეს არის მრავალფიგურიანი რთული პატალური კომპოზიცია. კედელზე გაცოცხლებულია ბაგრატიონის დაჭრის სცენა — მოჩანს „სემიონოვის ხევი“, სადაც სასოკვდილოდ დაიჭრა გმირი მხედართმთავარი.

კარგია საბანკეტო დარბაზი, მას საზეიმო განწყობილებას მატებს ლითონისა და კერამიკისგან დამზადებული ჭაღები. იგრძნობა რუსული კოლორიტი და სითბო.

რესტორანი „ბოროდინო“ მხატვრულად გაფორმეს ქართველმა მხატვრებმა ელდარ ცაცანაძემ და გურამ დოლიძემ.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

სპექტაკლი ახალგაზრდობაზე

გათშუმ. (სპ. კორ.). ბათუმის ა. ჰავჰავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა რ. მამულაშვილის პიესა „მერხებზე ანგელოზები ხხედან“. სპექტაკლი ახალგაზრდობის ცხოვრებას ეხება. იგი დადგა რეჟისორმა დ. ხინიკაძემ, მხატვრულად გააფორმა ლ. ხვიდაშვილმა.

სპექტაკლში მონაწილეობენ: საქართველოს სახალხო არტისტი მ. ხინიკაძე, რუსუბლიკის დამსახურებული არტისტები ლ. აფხაზავა, ნ. წერეთელი, ნ. კვეტაძე, ხ. მეგრელიძე, შ. ბეჟანიძე, გ. ახვლედიანი და სხვები.

□

პრემიერა კულტურის სახლში

ქუთაისი. (სპ. კორ.). ნაოფიერად მუშაობს ვ. აბაშიძის სახელობის კულტურის სახლის დრამატული კოლექტივი, რომელსაც რუსუბლიკის ფესტივალის ლაურეატი ა. ქაჯაია ხელმძღვანელობს. ამ დღეებში დრამატულმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ახალი დადგმა — ლ. მიღოროვას სატირული კომედია „სად იყო ჭკუა“. სპექტაკლში თავი გამოიჩინეს სცენისმოყვარეულებმა გ. გიორგაძემ, მ. რევაზიელმა, ბ. მახარაძემ, ბ. მიზეიმ, ო. სილოგაძემ, მ. ტყეშელაშვილმა, კ. სამანიშვილმა, ა. ხალვაშმ, ა. ქაჯაიამ.

„ორიონი“ აღმოსავლეთში აგზავნის

ანსამბლი რვა კაცია. ინჟინერი ბორის გუგუშიძე, უფროსი ტექნიკოსები ლია ლომთათიძე, რევაზ დათუაშვილი, თეიმურაზ მარტიაშვილი, უმცროსი მეენიერ-მუშაკები პაპლე პოგრებეცკი, ბონდო ფხაკაძე, ინჟინერები თამაზ ტურაზაშვილი და თემურ ფილმანელი. ისინი სსრ კავშირის მეტროლოგიის ინსტიტუტის თბილისის ფილიალისა და სსრ კავშირის სახსტანდარტის რესპუბლიკური სამმართველოს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ორიონის“ ხელოვნები არიან და თავდავიწყებით უყვართ სიმღერა.

„ორიონმა“ თავისი ხელოვნება გააცხო დამკვრელური კოშკავშირული მშენებლობის მსმენელებს — უსტ-ილიმის ჰიდროელექტროსადგურისა და გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლებს, ბრატსკის ალუმინის ქარხნისა და ირკუტსკის საწარმოთა მუშებს, ენინგალის ჰიდროელექტროსადგურისა და ანგარსკის კოშკავშირელებს.

„ორიონი“ ძველქართულად „მზის ამოსვლას“ ნიშნავს.

ახლახან „ორიონი“ დაბრუნდა ევროპაში და ბოროდინოსავლეთში მოგზაურობიდან. ქართული სიმღერა აყვავდა ინგლისსა და საფრანგეთში, იტალიასა და დანიაში, პორტუგალიასა და ბაბრინდოში...

„ორიონს“ კრეკელი გეგმები აქვს: ანსამბლი აშზადებს ახალ საკონცერტო პროგრამას ბაქის საყოველთაო-სახალხო მშენებლობის კომკავშირელებისათვის, მონაწილეობას მიიღებს მშრომელთა თვითმოქმედ მხატვრული შემოქმედების საკავშირო ფესტივალში.

სურათებზე: ზემოთ — „ორიონი“ გამოდის საქართველოს ტელევიზიით; ქვემოთ — ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ორიონის“ ხელმძღვანელი ბორის გუგუშიძე და სოლისტი ლია ლომთათიძე.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მსოფლიოს კინოველოდა ბაღრაკში

ტურნირი გადმოდის ბოლოვილისში

ბიჭვინთა, 12 ნოემბერი. (ჩვენი კორ.). ... „ტალმის“ შესახებ.

მირონლაპა ფილიპი (ჩეხოსლოვაკია), მატჩის მთავარი არბიტრი: „ჩემი თანამემამულის ეერა მენსიკის დროს ქალთა ბადაკას ჯერ კიდევ მასხარად იგდებდნენ. ახლა „სუსტი“ სქესის წარმომადგენლებს შეუძლიათ ვაჟებსაც „გაუწონონ ნეტოქეობა“.

ბუხუტი ბურჭენიძე, ნონა ალექსანდრიას სეკუნდანტი: „ნონა მშვენივრად მოქმედებს, მუდამ ესწრაფვის გართულებებს, ისე ბრძვის, როგორც ნამდვილ მებრძოლ მოკადრაკეს შეეფერება“.

აივარ ბიკასლისი, ნონა გაფრინდაშვილის სეკუნდანტი: „პრინციპულად რომ ვთქვათ, ნანა კარგად თამაშობს და მხოლოდ მეხუთე საათზე უჭირს ხოლმე დაძაბული ბრძოლა“.

დღეს შეჯიბრების მონაწილენი გადმგზავრენ ბაბილისში.

ბოლომდე შეუპოვრად

ბიჭვინთა. (ჩვენი სპეც. კორ.). როგორ შეიძლება ამ აღელდე, ასეთ მძაფრ და ... ჩემპიონი, პრეტენდენტი და მათი მშვრთნელები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მატჩი ბიძეს მისცეს საჭადრაკო თეორიის შემდგომ განვითარებას. ხომ გახსოვთ აკაკი წერეთლის მამის — როსტომის, მეტად ძლიერი მოჭადრაკის ცნობილი კითხვა: თეორია რა არის? და როდესაც პასუხი მოისმინა, როსტომმა მიუგო: „ჩაიწერეთ ჩემი პარტიები და თეორია იქნება!“.

მატჩზე დამსწრე მიმომხილველები ეურადღებას აქცევენ ორ ამბავს: 1. ნონა გაფრინდაშვილი უაღრესად თანბრად, მშვიდად, თავისი ძალების დიდი რწმენით თამაშობს. 2. ნანა ალექსანდრია ძლიერ ცალტონტში აღარ ხედება, რაც უდავოდ წინასამატჩო „მკურნალობის“ შედეგია, ბრძოლას აღმავლობით აწარმოებს, ხშირად სასურველ პოზიციებს იღებს, მაგრამ პარტიის დასასრულს სერიოზული შეცდომები მოსდის. რა არის ეს, კანონზომიერი მოვლენა თუ შემთხვევითობა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ბიჭვინთელები კი ისე შეეჩვივნენ საჭადრაკო მატჩს, რომ ზოგი მათგანი ახლა... თბილისში მოემგზავრება, ვეიან, ძალიან გვიან ჩაუბა ბიჭვინთა ქარცეცხლიანი საჭადრაკო ცხოვრების ორბიტაზეო, ამბობენ ისინი.

გ. გამრეკელი,

მოკლედ

ქალაქნოგა. ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონმა, სპორტის ღამსახურებულმა ოსტატმა, შახტელმა ინჟინერმა ვასილ ალექსეევმა კიდევ ორი მესწორება შეიტანა მსოფლიოს რეკორდების ცხრილში. არხანგელსკში გამართული რუსეთის ფეოდერაციისა და ბერ-ის ნაკრებთა მატჩში (ანგარიშით 6:3 გაიმარჯვეს მასპინძლებმა) მან აკარა 246 კილოგრამი (ეს 0,5 კგ აღემატება მის წინანდელ მიღწევას) და ორ ჩიდის ჯამში აწევინა 430 კილოგრამი, რაც 2,4 კგ მეტია ძველ მსოფლიოს რეკორდზე. ახლა ვ. ალექსეევის ანგარიშზეა 74 მსოფლიოს რეკორდი.

ფეხბურთი. რიგაში მიმდინარე ევსთა ტურნირის მესამე ტურში ლატვიუთის „ბურთამ“ ანგარიშით 1:0 დამარცხა ბლაგოვეშჩენსკის „ამური“ და ახლა 4 ქულა აქვს ე.წ. ეს შესაძლებელიდან. მომდევნო მატჩს „ბურთა“ გამართავს ხვალ ნიჟნი ტაგილის „ურალეცთან“. ამავე ტურში ვლადიმირის „ტორპედომ“ ანგარიშით 3:1 მოუგო ნიჟნი ტაგილის „ურალეცს“, ხოლო რიგის „დაუგავასა“ და ჟიტომირის „ავტომობილისტის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ჰოკეი. პრაღაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის პირველ ნაკრებთა მატჩი. ანგარიშით 5:3 (2:1, 1:2, 2:0) გაიმარჯვეს საბჭოთა ჰოკეისტებმა. დღეს ეტაპებები განმეორებით შეხვდებიან ერთმანეთს. ამ მატჩის რეპორტაჟი გადმოცემულ იქნება ცენტრალური ტელევიზიით 22 საათსა და 30 წუთიდან.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კითხვა და მოსწავლის ჯანმრთელობა



ეძიზი გვირჩევს

გეოგრაფია წიგნი — ციდნის წყარო — მოუწოდებდა ადამიანებს ა. მ. გორკი. წიგნი დიადი, გონების მასაზრდოებელი სასწაული, მას გადავყავარო ხან უცნობ ქვეყნებში, ხან კოსმოსის იდუმალ სივრცეებში, სარკმელს გვიხსნის მიკროსამყაროსაც და გრძნობათა უფაქიზეს სიღრმეებიც, გვაზარებს ლექსის დამატკბობელი ჰანგით, გვამაღლებს ზნეობრივად, გვიყალიბებს ხასიათსა და მსოფლმხედველობას. ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ იმით, რომ მსოფლიოში ყველაზე წიგნისმოყვარულ ერად გვთვლიან. მართლაც და, წიგნი შეუცვლელი მეგზაურია, ბრძენი ჭეშმარიტული მეგობარი, მილიონობით მოზრდილ თუ ნორჩი საბჭოთა მოქალაქისათვის.

დაძაბული სასწავლო პროგრამების გამო მოსწავლეებს უხდებათ ყოთხონ სისტემატიურად და ბევრი — ეს უფროთოებს მათ თვალსაწიერს, უმდიდრებს ცოდნას, მაგრამ კითხვა, ექიმის თვალსაზრისით, ეს მუშაობაა, ამასთან არა მარტო მხედველობის ორგანოებისა და ტვინისა, არამედ ნერვებისა და კუნთებისაც. მუშაობაა, რომელიც მოითხოვს დაძაბვას, მოთმინებას, ინტენსიურ ყურადღებას, მიღებული ინფორმაციისა, მოლოდინებისა, ემოციებისა, ბიოელექტრული ენერგიისა, ბიოქიმიური რეაქციებისაც. ერთი სიტყვით, ჯანმრთელობისათვის სულ ერთი არ არის, როგორ, როდის, რა პირობებში და რამდენს კითხულობს ბავშვი.

მშობლების ერთი ნაწილი ნიშნავს: მათი შვილი მოკლებულია სურვილს — იკითხოს წიგნი, დაუფიქრდეს წაკითხულს, ამჯობინებს მეცადინეობისგან მთელი თავისუფალი დრო მოანდომოს ეზოში თამაშს, ირბინოს, იჩხირკედელაოს, ოღონდ არ იკითხოს. რაშია საქმე? გამოკვლევამ პასუხი გასცა ამ კითხვაზე: საქმე ის არის, რომ ბავშვს თავის დროზე არ განუცდია პირველი წიგნის წაკითხვით გამოწვეული სიხარული, წიგნისა, რომელიც დამოუკიდებლად წაკითხა. შემდგომშიაც მას „ხელთ ხვდებოდა“ მხოლოდ შემთხვევითი წიგნები და არ ყოფილა მათ შორის კეკეანური, საინტერესო შინაარსის მქონე წიგნი, რომელსაც იგი გატაცებით წაკითხავდა, მათ აკლდათ ალბათ იუმორიც, ბავშვები რომ ასე ფაქიზად გრძნობენ. ჩვენ შემთხვევით არ ჩაგვისვამს სიტყვები „ხელთ ხვდებოდა“ ბრჭყალებში — ბევრ ოჯახში წიგნის შერჩევა, ბავშვებისათვისაც კი, შემთხვევაზეა დამოკიდებული და, სამწუხაროდ, ნაკლები ყურადღება ექცევა იმაზე ზრუნვას, რომ მათი შინაარსი მისაწვდომი იყოს ბავშვებისათვის. სწორედ ასე, ჩაუმწარდა სიხარული მეორეკლასელ ალექსს, როცა მამამ „დაბადების დღის საუკეთესო საჩუქრად“ მას „ეგორ ბულიჩევის“ მშვენიერი გამოცემა უნობათა.

პირველ ხანად პატარას უჭირთ კითხვის ტექნიკის დაუფლება, რის გამოც უძნელდებათ ტექსტის გაგებაც. ამას შეუძლია გული აუცარუოს მათ წიგნის დამოუკიდებლად კითხვაზე. სისტემატური წვრთნის მოკლება კი ანელებს უნარის ფორმირებას. ტაუტოლოგიურ როდი ანიშნებდა გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგი ვ. ა. სუხომლინსკი ყველაფერ ამის დიდ მნიშვნელობას. მისი აზრით სკოლაში სწავლის პირველი წლის ბოლოს ბავშვს უნდა შეეძლოს წუთში იკითხოს დაახლოებით 40-50 სტაფეტა, შეორე კლასში — 60-70, მესამეში — თითქმის 90 სტაფეტა წუთში. ამის განსაზღვრა ძნელი არ არის. საკმარისია დაიანგარიშოთ ბეჭერდში სტაფეტების რაოდენობა და დავინიშნოთ, რამდენ ხანში წაიკითხავს მას მოსწავლე. ბავშვი, რომელიც უფრო ნელა კითხულობს, ძნელად სძლევს სასწავლო და კლასგარეშე მასალის მოცულობას, გაცილებით შეტად იღლება. ხოლო ვინ არ იცის, რომ დაღლილობას ახასიათებს „დაგროვების“ თვისება, და ადვილად შეიძლება გადაიზარდოს გადაღლად, რაც მკვეთრად აქვეითებს ნორჩი ორგანიზმის უნარს წინააღმდეგობა გაუწიოს დაავადებებს.

ბავშვის ხელთ ყველაზე ხშირად ბავშვს უნარი შესწევდეს ჰიგიენურად სწორად მოაწყოს ეს რთული ფსიქოფიზიოლოგიური პროცესი. აუცილებელია როდის, როცა კითხვით გართული ბავშვი უურადღებას არ აქცევს როგორ დგეს წიგნი. მაშინ, როცა ასოები კარგად რომ გავარჩიოთ, თვალის სინათლის შეძვრნობი და კუნთოვანი აპარატი (რომელიც აწყობილია „უსასრულო“ მზერისათვის) შეხამებული უნდა იყოს წერილ ასოების მასის ახლოს ხედვასთან. ჩვენს, მოზრდილებს შორისაც ყველას ნათლად როდესმის, თუ რაოდენ დიდი მხედველობითი დაძაბულობა წარმოიშობა სულ რამდენიმე გვერდის წაკითხვის დროსაც კი. მერე და როგორ იძაბება კუნთები, რომლებიც „მოვალენი არიან“ მზერა გადაიტანონ სტრიქონიდან სტრიქონზე. უფლება გვაქვს თუ არა დავიოწყოთ, რომ ასეთი მხედველობითი მუშაობის (განსაკუთრებით ახლო მანძილზე) გამო ერთი ნაბიჯია სიბეცემდე, რომელიც ძალიან ხშირად სწორედ „გადაჭარბებული კითხვის მიზეზით ვითარდება.

ასე რომ კითხვისადმი ბავშვის დამოკიდებულებაში ორივე უკიდურესობა არასასურველია, ისევე როგორც ყველა სხვა ნებისმიერი უკიდურესობა! რა ვიღონოთ? უნდა დავეხმაროთ მოსწავლეებს რეჟიმის მოწყობაში, გამოვუყოთ განრიგში სპეციალური საათები დასვენებისათვის, თამაშისათვის, კულტურული გართობისა და კითხვისათვის. საამისოდ საუკეთესო დრო დგება საღამოს რვის ნახევრიდან (საათი-საათნახევრიანი სეირნობის შემდეგ). უმცროსი ასაკის მოსწავლეებს ფურჩეევი იკითხონ 20-30 წუთს და ისიც ხანმოკლე შესვენებებით. თუმცა შესვენება ეუცილებლად სჭირდებათ მოზრდილ ბავშვებსაც 30-40 წუთი ვაწყვეტინეთ კითხვის შემდეგ. უნდა ავდგეს, გავიარ-გამოვიაროთ ოთახში, გავიკეთოთ რამდენიმე სუნთქვითი მოძრაობა, გავიზიდოთ ფანჯარაში. სასკოლო ერუდიციების დროს უფროსკლასელებს შეიძლება ნება დავრთოთ დღეში იკითხონ ერთ საათს, როგორც ჩვეულებრივად, არამედ რამდენადმე მეტ ხანსაც, მაგრამ აუცილებლად მითითებული რეჟიმის დაცვით.

არ შეიძლება სკოლიდან მოსულისთანავე ჩავუჯდეთ ძალიან საინტერესო წიგნსაც კი — მხედველობითმა ანალიზატორმა, ცენტრალურმა ნერეულმა სისტემამ და ორგანიზმის კუნთოვანმა აპარატმა ჯერ აუცილებლად უნდა დაისვენოს. ძალზე მავნებელია ჭამის დროს კითხვა, რამდენადაც ეს აქვეითებს კუჭის წვენის გამოყოფას, ირღვევა საჭმლის მონელება. და საერთოდ, ნაჩქარევად, უმადოდ ჭამას სარგებლობაც არ მოაქვს.

როგორც ნებისმიერი სხვა სამუშაოს შესრულებისათვის, კითხვისთვისაც საჭიროა ოპტიმალური პირობების შექმნა. ამ შემთხვევაში არ არსებობს წვრილმანი, ყველაფერი მნიშვნელოვანია — ბავშვის სიმაღლის მიხედვით მაგიდისა და სკამის შერჩევიდან მოყოლებული, „გათავებული სპეციალური დაფით. (რომელზეც წიგნი 40 გრადუსი კუთხით დახრილი უნდა იდოს), თვალიდან წიგნის სიშორით (25-35 სმ) და, რა თქმა უნდა, კარგი განათვნით. (ლამპა უნდა იდგეს მარცხენა მხარეს, წყნარი ტონების აბაჟურითა და 60-75-ვატიანი ნათურით). ძალზე მავნებელია წამოწოლილი კითხვა, რადგან ამ დროს ირღვევა ნორმალური მანძილი თვალსა და წიგნს შორის და ხშირად გვერდებიც არ არის ხოლმე საკმარისად განათებული.

ნ. პოპოვა,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.
(სანიტარული განათლების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი).



COMMUNISTI ИНДЕКС 66443 УЗ 12180

ტელ. 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 99-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, ხალხთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-51.

ეკონომისტი

ს.ს.ს. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

ტელევიზია

13 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მხატვრული ფილმი „ერიკალოვის მილიონები“ (მეორე სერია), 12.00 — სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო ფესტივალი. სატელევიზიო მრავალსერიანი ფერადი დოკუმენტური ფილმი „საბჭოთის ბავშვები“ — „ეზის დასაწყისი“ (ესტონეთის სსრ), 16.30 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა, 17.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამი ეტიუდი დაღესტანზე“, 17.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — სსრ კავშირის ისტორია, 18.00 — კინონარკვევი „პირადი“, 18.20 — ბავშვებისათვის — კონცერტი, 18.40 — სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო ფესტივალი. სატელევიზიო ფერადი მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმები: „საბჭოთის ბავშვები“, „წითელყელსახვევიანთა ზეიმი“ (ტაჯიკეთის ტელევიზიის ნაწარმოები) და „შეიცანი სამყარო“ (ლატვის ტელევიზიის ნაწარმოები), 20.00 — სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტრიბუნა, 20.30 — ჩვენი კომენტარი, 20.40 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „ჩვენი საუბარი“ — ნოქალაქეები, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — შემოქმედებითი პორტრეტები — „ო. ჭელიძე“, 23.15 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა (რუსული სკოლების მესამე კლასელთათვის), 18.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეშაერმენტი“, 18.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, „მოგითხრობთ მოსკოვზე“, 19.55 — განცხადებები, 20.00 — კინონარკვევი „სერგეი მიხალკოვი“, 20.25 — მხატვრული ფილმი „ორმოცდაათი ორმოცდაათზე“.

რადიო

14 ნოემბერი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური განათლების მომხილველი, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — კორესპონდენტის ნაამბობი „გეგმის შესრულება საფრთხეშია, რას ფიქრობენ კომუნისტები“, 12.15 — სიმღერები ქალთა ვოკალური ტრიოს შესრულებით, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ო. ჭელიძე, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — კონცერტი, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება“ — მოერის მ. ნამორაძე, 17.40 — მოსწავლეთათვის. ვეფა-ფშაველას მოთხრობები, 18.05 — შ. მშველიძე. საოპერო მუსიკა, 18.45 — მსუბუქი მუსიკა, 19.00 — საუბარი „პარტიული მუშაკი მშენებლობაზე“, 19.15 — სიმღერები დიდი ოქტომბრის შესრულებით, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — რადიოჟურნალი „მეცნიერებისა და ტექნიკის სამყაროში“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — საუბარი „ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „დათა თუთაშხია“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

13 ნოემბერი

ზაჭარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **მოახლე ქალბატონი; დიდი კონცერტი** (მე-8 აბონ. მეორე წარმ.), შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **მეშვიდე ცა; კოტე მარჯანიშვილის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ი.ი. თიმ ბურჯაზი.** ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედია — **თოვლიანი მთების მელოდიები.**

ომის ვეტერანთა ხაბჭოთა კომიტეტის თბილისის სექცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სამამულო ომის ვეტერანი, მარუხის ბრძოლების აქტიური მონაწილე

ვასილ რაჟდენის-ძე რუხაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ფეხბურთი

ვეოთსელფინალის საგზური

ბუდინ კიევში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის მეექვსე ზონის განმეორებითი შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და შვეიცარიის ნაკრებს ბუნდების შორის.

დიდი ანგარიშით 4:1 (2:1) გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა. ბურთები გაიტანეს კონკოვმა, ონიშჩენკომ (2), ვერემეევმა და შვეიცარიელმა რიზმ.

სსრ კავშირის ნაკრები, მიუხედავად თურქეთის, ბუნდთან 23 ნოემბერს დარჩენილი მატჩის შედეგისა, უკვე გავიდა გათამაშების მეოთხედფინალში.

ეს ჩვენი ნაკრების შემადგენლობა ბუნშინდელ შეხვედრაში: რუდაკოვი, კონკოვი (სახაროვი), ფომენკო, ზვიადინცევი, ლოგეფეძე, ბურიაკი, მუტტიანი (ყოლოტოვი), ტროშკინი, ონიშჩენკო, ვერემეევი, ბლოხინი.

ჩვენ ვნახოთ, ჩვენ ვოვიდეოთ

ბანაკშაულოვათა კვალდაკვალ

გამოუსწორებელი

ხანდიდან რომ გამოვიდა, სამწვადესთან შეჩერდა, ერთანს იფიქრა, შვიდე თუ არაო, ბოლოს ცდუნებამ დაძლია და ჩქარი ნაბიჯით დახლს მიუახლოვდა, მეზუფეტეს ფული გაუწოდა და არაყი ითხოვა...

ბანაკიანად შედამებული იყო, როდა ტვინში არაფერეიტინებული ქუჩაში გამოვიდა. ერთანს ტროტუარზე იბორიალა — ვერ გადაეწყვიტა, სადით წასულიყო. ამ დროს ავლაბრისკენ მიმავალი ტროლეიბუსი ჩამოვა, და ეჯვე ათიოდე წუთში 5 დეკემბრის ქუჩაზე დაანჯეგდა. რამდენიმე ხანი იტანჯა, მაგრამ ქუჩაზე ძეხორციელი არ გამოჩენილა.

— ბედი არა მჭონია, — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა და ის იყო იქაურობას უნდა გასცლოდა, რომ ქუჩაში მიმავალ ორ მანდილოსანს მოაკრა თვალი.

წუთით არ დაფიქრებულა, მანდილოსნებს აეტრფიალა და ზრდილობიანად მიმართა.

— აფეურუ თქვენს ქალობას, ამ შუალამისას მარტონი რომ დადიხართ?

— საშიში რა გვაქვს?

— ეჰ, რა იცი ამ დუნიაზე და ისიც ასე გვიან ვინ ოხერ მოსეტიალეს არ გადაეყრება ადამიანი, მაგრამ არაფერია. მე აქა ვარ და თქვენც დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.

— შეგიძლიათ მიბრძანდეთ.

— როგორ გეკადრებათ.

ლაპარაკ-ლაპარაკში მგზავრები ერთ-ერთ მრავალსართულიან სახლთან შეჩერდნენ.

— ჩვენ მოვედით, — თქვა ერთმა მანდილოსანმა, ლიფტში შევიდა.

— ხედავთ, მეზობლები ყოფილხართ და უდიერობად მეკიდებოდით, — უსაყვედურა მანდილოსნებს „მეზობელმა“ და თვითონაც ლიფტში მოკალათდა.

მეექვსე სართულზე ახალგაზრდა კაცმა გულის ჯიბიდან წითელი წიგნაკი ამოიღო, მანდილოსნებს ცხვირწინ დაუტრიალა და სხვასასუბუთი მიაყარა:

— მე მილიციის მუშაკი ვარ. გეტყობათ საეჭვო პირები ხართ. ნებით რაიგანყოფილებაში არ წამომყვებით, ვიცი და ამიტომ იძულებული ვარ ჩაგიყვანოთ ბეჭდვილი, საათები და ხელნაწერები.

თვალისდასამსგავსებაში „მილიციის მუშაკმა“ მანდილოსნები „გაათავა-სუფლა“, ლიფტიდან გამოვიდა და თავქვე კისრისტეხით დაეშვა.

ღამის პირველი საათი იქნებოდა, როცა შინაგან საქმეთა 26 კომისრის რაიგანყოფილების სამორიგეოში გულამოვარდნილი მოქალაქე „ალი“ ბეჭრაშვილი მოვარდა.

რაიგანყოფილების უფროსის, პოლკოვნიკ ბ. მესხის ბრძანებით ოპერატიული ჯგუფი რაიგანყოფილების უფროსის თანაშემწის სამორიგეო ნაწილში, მილიციის კაპიტან გურამ ლომსაძის, მილიციელების ვანო გეგეშელიძისა და ნოდარ ჯანამელის შემადგენლობით დაუყოვნებლივ დაეფეთნენ ბორტმოქმედს და ერთი საათის შემდეგ, გუმრის ქუჩის მოოლს, მძარცველი — წინათ ქურდობაზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში ნამყოფი სურენ გიორგისძე აკოფოვი დაეკავეს და ნაძარცვი